შპს „ანტიკ–ლაინ“–ი
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. ბათუმი 2011 წელი

პრეამბულა

საქართველოში უმაღლესი სახელოვნებო სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპებისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და შპს „ანტიკ–ლაინი“ თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებას;
- შპს „ანტიკ–ლაინი“–ს სპეციალისტთა მიერ კონსულტაციების, მასტერკლასებისა და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მუშაობის ჩატარებას;
- ცალკეულ მიმართულებებში ერთობლივი ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები მოქმედებენ შეთანხმებულად პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გამოფენებისათვის აუცილებელი რესურსების მოზიდვისა და სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების დაგეგმვისათვის ორმხრივი ინტერესების შესაბამისად.

1.2. თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს მუზეუმის თანამშრომლები, უნივერსიტეტის პროფესორები და სასწავლო-შემოქმედებითი პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ.

1.3. მონაწილეობას მიიღებენ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ექსპერტიზაში.

1.4. მხარეები მონაწილეობას მიიღებენ სახვითი ხელოვნების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.)

1.5. შპს „ანტიკ–ლაინი"–ს საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკის გავლასა და ახალგაზრდა სპეციალისტთა სტაჟირებას.

1.6. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო სემინარებს, კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, ფესტივალებს და გამოფენებს მუზეუმის საგამოფენო გრაფიკის მიხედვით.

1.7. უზრუნველყოფენ წიგნადი ფონდით, კატალოგებით და სხვა ბეჭდური პროდუქციით სარგებლობის ხელმისაწვდომობას.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

შპს „ანტიკ–ლაინი"–ს
დირექტორი ი. მახარაძე

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ე. მესხია